

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“
და სს „ალიანს ენერჯის“ შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების
მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

4 / აპრილი 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“),
წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ;

მეორე მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“
(შემდგომში წოდებული, როგორც „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის,
ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

და მესამე მხრივ, სს „AE-SGI Energy I“, ს/კ: 404421915 (შემდგომში წოდებული,
როგორც: „კომპანია“) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ტყეშელაშვილის მიერ.

მხარეები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დებენ წინამდებარე
შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი N4 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე
თანდართული სახით.
2. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.7 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:
„ბ) მემორანდუმით დადგენილ ვადაში ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების
ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისათვის საურავის დაკისრებას მთლიანი
საგარანტიო თანხის ოდენობით. ამასთან, დაკისრებული საურავის გადახდა უნდა
განხორციელდეს კომპანიის მიერ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნის
მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.“
3. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.8 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:

„ბ) კომპანიის მიერ დარღვეულია ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადა და კომპანიზე 3.7. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაკისრებულია შესაბამისი საურავი.“

4. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.9 პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომპანიის უპირობო ვალდებულებას საქართველოს მთავრობას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, უსასყიდლოდ და ექსკლუზიური საკუთრების უფლებით დაუყოვნებლივ გადასცეს მის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული ყველა უძრავი თუ მოძრავი ქონება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია „ნაბელლავი ჰესის“ პროექტთან. ამასთან, კომპანიის მიერ გადაცემული ქონება უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი ვალდებულებითი და სამართლებრივი დატვირთვისაგან მესამე პირების მიერ.“

5. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.13 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„3.13 კომპანიის მიერ მთავრობისათვის გადაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 30 ივლისის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ 3.12 პუნქტის შესაბამისად ან/და ნებისმიერი სხვა მიზეზით გადაიწია (გაგრძელდა) ამ მემორანდუმის დანართი N4-ით გათვალისწინებული რომელიმე ვადა, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება ან იმავე პირობებით ახალი საბანკო გარანტიის წარდგენა. კომპანიის მიერ ასეთი მოთხოვნის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს გარანტიის გამცემ ბანკს იმ დროს მოქმედი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.“

6. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.

7. კომპანია ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების დადებიდან 15 დღის ვადაში, მემორანდუმით (მათ შორის, წინამდებარე შეთანხმებით) ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენილი საბანკო გარანტიის (340 000.00 აშშ დოლარის ოდენობით) მოქმედების ვადა იდენტური პირობებით გაახანგრძლივოს 2016 წლის 30 ივლისის ჩათვლით.



8. წინამდებარე შეთანხმება, გარდა 1-6 პუნქტებისა, ძალშია მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის დღიდან. წინამდებარე შეთანხმების 1-6 პუნქტები ძალაშია კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-7 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დღიდან.
9. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად.
10. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
11. წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერ დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

საქართველოს მთავრობა




კაბა კალაძე

სს „ელექტროენერჯის სისტემების კომერციულ ოპერატორი“

ვახტანგ ამბოვაძე

სს „AE-SGI Energy I“



ირაკლი ტყეშელავა

მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება
და ექსპლუატაციაში მიღება

დასახელება	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	ექსპლუატაციაში მიღება
ნაბეღლავი ჰესი	1 თებერვალი, 2012 წ.	30 მაისი, 2016.



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№234 2016 წლის 11 თებერვალი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობის, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს „აღიანს ენერჯის“ შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს „AE-SGI Energy I“-ს შორის დასადგენი შეთანხმების პროექტი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს „აღიანს ენერჯის“ შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ვახა ვალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გაიორგი კვიციანი

6460



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010104679793415

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა; ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№8166

28 / ოქტომბერი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის
მოადგილეს,
ნატონ ირაკლი ხმალაძეს

ნატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გაზიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 21 ოქტომბრის №04/3927 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „AE-SGI Energy I“-ს და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადეზი შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლიდან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დებულება უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტულად წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის დებულების და არა ძირითადი მემორანდუმის რომელიმე მუხლის ცვლილების სახით.

აქვე შევნიშნავთ, რომ შესაბამისობაშია მოსაყვანი შეთანხმების პროექტის მე-5 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული გარანტიის მოქმედების ვადა.

პატივისცემით,

ზ. დუაქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1073
26/10/2015

1073-01-2-201510261532



თანხმობა ხელმოსაწერი
ურთიერთგაგების მემორანდუმში
ცვლილებების შეტანის თაობაზე
შეთანხმების პროექტში

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 21 ოქტომბრის #04/3926 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს "AE-SGI Energy I"-ს და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგი აზოვაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საკანონმდებლო ანგარიშის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036